AMBASSADORI

სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო“-ს
უფროსს ქალბატონ თამარ ფიცხელაურს

ქალბატონო თამარ,

სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით 2022 წლის 4 აგვისტოს სააგენტოში წარმოდგენილ სკრინინგის ანგარიშთან დაკავშირებით, რომელიც ეხება შპს „ამბასადორი ბათუმი აილენდის“ მიერ ქ. ბათუმში, შავი ზღვის სანაპირო ზოლის ნაპირდაცვითი (ნაპირსამაგრი) სამუშაოების განხორციელების პროექტს, დამატებით გაცნობებთ, რომ საპროექტო ნაპირდამცავი ნაგებობის უკან ტალღის ზვირთცემის ზონაში არ იქნება განთავსებული რაიმე ინფრასტრუქტურული და სხვა ტიპის ნაგებობა, რომელზეც შესაძლებელია აგორებული ტალღის უარყოფითი მოქმედება.

ამასთან, ნაპირდამცავი ნაგებობის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პერიოდში დაწესებული იქნება მონიტორინგი, რომლის მიზანიც იქნება საანგარიშო ტალღური რეჟიმით გათვალისწინებულზე უფრო მეტი ტალღის მოსვლით გამოწვეული ნაგებობის დეფორმაციის დადგენა და მისი აღმოფხვრა.

პატივისცემით,

ფრიდონ ქათამაძე
შპს „ამბასადორი ბათუმი აილენდ“-ის დირექტორი

12. 08. 2022 წ.

ს.ს.ი.პ. გარემოს ეროვნული სააგენტო
„12“ 08 2022 წ.
№ 4011